პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

17 აპრილი, კვირა, 1988 წ.
№ 75 (9742) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საბჭოთა პროფკავშირებო! დაიცავით მშრომელთა ინტერესები! მიაღწიეთ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას, სამეურნეო გადაწყვეტათა სოციალური მიზანმიმართულების გაძლიერებას!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის საპირველმაისო მოწოდებებიდან.

ვლადიმერ გოგოლაძე გამარჯვებულთა შორის

ჩელიაბინსკი. აქ მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის 54-ე პირადგუნდური ჩემპიონატი ტანვარჯიშში. შეჯიბრების პირველი მედლები ვაჟთა გუნდურ შეჯიბრებაში გათამაშდა. უმაღლესი ჯილდო საბჭოთა არმიის ნაკრებმა მოიპოვა, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ: დიმიტრი ბილოზერჩევი, ვლადიმერ არტიომოვი, იური კოროლიოვი, ვლადიმერ გოგოლაძე, ვალერი ბელენკო და ევგენი ინდიუკოვი. გამარჯვებული გუნდის შედეგია 577,85 ქულა.

მეორე ადგილი დაიკავეს და ვერცხლის მედლები დაიმსახურეს „დინამოს" პირველი ნაკრების წევრებმა. ჩემპიონს ისინი მხოლოდ 0,5 ქულით ჩამორჩნენ. მესამე შედეგი ჰქონდა პროფკავშირების მეორე გუნდს — 564,85 ქულა.

პირად ჩათვლაში ნებისმიერი ვარჯიშების შემდეგ უძლიერესთა სამეული გამოიყურება ასე: არტიომოვი — 117,0 ქულა, ლიუკინი — 116,95 ქულა და ბილოზერჩევი — 116,80 ქულა. ახლა ვაჟები ფინალურ შეჯიბრებაში გამოვლენ.

ალბერტ კაზანჯიანი ფინალში

სენ-ნაზარი. დასასრულს უახლოვდება მოკრივეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელიც საფრანგეთის ამ ქალაქში ტარდება. საბჭოთა სპორტსმენები შეჯიბრებაში კარგად გამოვიდნენ. ექვსმა მოკრივემ ფინალში ბრძოლის უფლება მოიპოვა, მაგრამ აბსოლუტური წარმატების შემთხვევაშიც კი ჩვენები ხუთ უმაღლეს ჯილდოზე მეტს ვერ მოიპოვებენ. ეს იმიტომ, რომ 57 კგ წონითი კატეგორიის ფინალში ორი საბჭოთა მოკრივე ნ. კოლუასაროვი და ა. ხამატოვი გავიდა და ერთ-ერთი, ცხადია, დამარცხდება. ნახევარფინალში კოლუასაროვმა დ. დრუმას (გდრ) აჯობა, ხამატოვმა კი ფ. ჩეკლატას (საფრანგეთი).

ნახევარფინალში ლამაზი გამარჯვების შემდეგ (ვენესუელელ ა. ტორესთან) ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა თბილისელმა მოკრივემ ა. კაზანჯიანმა (54 კგ). პირველი ადგილისთვის იბრძოლებენ, აგრეთვე, ე. ზაიცევი (71 კგ, დაამარცხა მ. კლოდიე), ა. კურნიაევი (75 კგ, მოუგო ფ. ტოიზეს) და ა. ვაულინი (81 კგ, აჯობა ა. ტაფერას), სამივე მეტოქე საფრანგეთის წარმომადგენელია.

კახიანის უპირატესობა გამოიკვეთა

რაც უფრო ცოტა დრო რჩება შეჯიბრების დამთავრებამდე, მით უფრო თვალსაჩინოდ იკვეთება გარდაბნელი ოსტატის ქეთევან კახიანის დიდი უპირატესობა. ბაქოში მიმდინარე 16 და 20 წლამდე ასაკის მოჭადრაკე გოგონათა საბჭოთა ზონალურ ტურნირში უკვე 9 ტურის შეხვედრებია გამართული და კახიანს მხოლოდ ნახევარი ქულა აქვს დაკარგული. IX ტურში მან კიდევ ერთი ქულა ჩაიწერა აქტივში. იგი თეთრებით ნათია ჯანჯღავას ეთამაშებოდა. ახალინდურ დაცვაში ქეთევანმა ორი კუს უპირატესობა მიიღო, 2 პაიკი მოიგო და გაიმარჯვა.

II ადგილზე გადაინაცვლა ლიტველმა ლაიმა დომარკაიტემ, რომელმაც VIII ტურში ყაიმით დაამთავრა შეხვედრა მოსკოველ მარინა სოკოლოვასთან, ხოლო გუშინწინ შავი ფიგურებით სამტრედიელ სოფიკო ტერელაძეს სძლია.

ამ ტურის სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: სოკოლოვა-სულთანოვა — 1:0, ველიხანლი-ერმოლინსკაია — 1:0, დიომინა-ლევიტანი — 0,5:0,5, ბელაკოვსკაია-ლანჩავა — 1:0, სკუინა — სოფიევა — 1:0.

9 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა — კახიანი — 8,5 ქულა, დომარკაიტე — 6,5, სოფიევა — 6, ტერელაძე, ერმოლინსკაია — 5-5, ლევიტანი, დიომინა, ბელაკოვსკაია — 4,5-4,5. ჯანჯღავასა და ლანჩავას 3,5-3,5 ქულა აქვთ.

რაც შეეხება ტურნირში მონაწილე კადეტებს, რომლებიც 16 წლამდე ასაკის მოჭადრაკე გოგონათა მსოფლიო პირველობის საგზურისთვის იბრძვიან, აქ 5 ქულით სოფიკო ტერელაძე ლიდერობს. მას ნახევარი ქულით ჩამორჩება ბელორუსიის წარმომადგენელი იულია ლევიტანი. IX ტურში წაგებით გაიუარესეს მდგომარეობა ნათია ჯანჯღავამ და თეა ლანჩავამ.

გუშინ, ლენინურ შაბათობაზე, რომელიც კომუნისტური შრომის ჭეშმარიტ ზეიმად იქცა, რესპუბლიკის მშრომელებთან ერთად ერთსულოვნად გამოვიდნენ მრავალრიცხოვანი ფიზკულტურელები და სპორტსმენები, სპორტული ორგანიზაციების მუშაკები. ამ დღეს თბილისში, რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში განსაკუთრებული გულისყურით მოეკიდნენ სპორტული ბაზების მოწესრიგებას, ეზოების, მისასვლელი ადგილების კეთილმოწყობას, სურათზე, რომელიც გუშინ გადაიღო „ლელოს" ფოტოკორესპონდენტმა ა. კოტორაშვილმა, თქვენ ხედავთ რესპუბლიკის სპორტსახკომის და ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებს.

ბევრგან შაბათობის დამთავრების შემდეგ გაიმართა სპორტული შეჯიბრებები.



ამდენ ტიტულოვან ბატუტზე მხტომელს არასოდეს უასპარეზია ჩვენს დედაქალაქში. გუშინ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სპორტულ კომპლექსში დაიწყო მფრინავ-კოსმონავტ გ. დობროვოლსკის ხსოვნისადმი მიძღვნილი XVII საკავშირო შეჯიბრება. მასში მონაწილეობენ მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონები ვადიმ კრასნიშაპკა, იგორ ბაგაჩოვი, სერგეი ნისტრელაი, ტატიანა ლუშინა, ლენა მერკულოვა. ჩვენი გუნდის ღირსებას იცავენ საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრები რუსუდან ხოფერია, ანა დოლონაძე, ლია ბენდიანიშვილი, მიხეილ პელივანიდისი და სხვები. შეჯიბრება დღეს დამთავრდება.

სიახლე

დღეს, 3 საათზე თბილისის ჭადრაკის სასახლეში გაიხსნება ტურნირი „სწრაფ ჭადრაკში" (30-30-წუთიანი შეხვედრები) ჭადრაკის სასახლის პრიზზე (დღესვე ჩატარდება I ტურის შეხვედრებიც). შეჯიბრებაში, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში პირველად იმართება, მონაწილეობას მიიღებენ ოსტატობის კანდიდატები და პირველთანრიგოსნები. ამ ტურნირს შერჩევითი ხასიათი აქვს. მან უნდა გამოავლინოს რესპუბლიკური ასპარეზობის მონაწილენი, ხოლო ისინი, ვინც რესპუბლიკურ ტურნირშიც იმარჯვებენ, ტალინს გაემგზავრებიან, სადაც 3 მაისიდან საკავშირო ტურნირში ჩაებმებიან.

ფალავნებს უხმობს სარბიელი



საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრიზზე ქალაქების უბნებსა და სოფლებს შორის ქართული ჭიდაობის შეჯიბრებაზე ახალი ეტაპი — მეოთხედფინალური ბრძოლები დაიწყო. ამ მონაკვეთზე ტურნირი ოლიმპიური სისტემით მიმდინარეობს, რამაც მეტი სიმძაფრე შემატა ისედაც საინტერესო ასპარეზობას.

გუშინ თბილისის სახელმწიფო ცირკში სამი შეხვედრა ჩატარდა, რომელთაგან პირველი — ხაშურის რაიონის სოფელ ვაყისა და საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიწმინდის ფალავნებს შორის ხაშურელთა გამარჯვებით დამთავრდა — 5:4. ანგარიში მართლაც უკომპრომისო ბრძოლაზე მეტყველებს, თუმცა გამარჯვებულებმა უკვე რვა ორთაბრძოლის შემდეგ გაინაღდეს ნახევარფინალის საგზური და სა-

იხ. მე-3 გვ.

წოდების მინიჭება

სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა:

თავისუფალ ჭიდაობაში — თამაზ კურკუმულს (თბილისი, პროფკავშირები), მამუკა ფანიაშვილს (თბილისი, პროფკავშირები), იოსებ ბუცხრიკიძეს (გორი, პროფკავშირები), ბიძინა ქიქიაშვილს (თბილისი, „დინამო").

დამთავრდა თბილისის უბნების პირველი ჩემპიონატი კალათბურთში და გამოვლინდა პირველი გამარჯვებული — ვერის უბნის გუნდი. ეს საინტერესო ასპარეზობა, რომელიც კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაოსნობით ჩატარდა, ამიერიდან ტრადიციული გახდება და ღირსეულ ადგილს დაიკავებს დედაქალაქის სპორტულ-მასობრივი ღონისძიებების კალენდარში.

ფინალური ორთაბრძოლა ვერისა და ვაკის გუნდებს შორის გაიმართა. ვაკელებმა ამ შეხვედრის პირველი ნახევარი ერთი ქულის სხვაობით წააგეს — 26:27, საბოლოოდ კი 11 ქულით დამარცხდნენ — 46:57.

ს უ რ ა თ ზ ე: თბილისის პირველი ჩემპიონი ვერის უბნის გუნდი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ტელეტაიპი - მკითხველი

ნიცა. საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა ა. ჩესნოკოვმა მსოფლიოს საჩოგბურთო კლასიფიკაციაში დიდი ნახტომი გააკეთა. სულ ცოტა ხნის წინ იგი ამ კლასიფიკაციის თანახმად 52-ე ნომერი იყო, ახლა კი მე-17 ადგილზე გადაინაცვლა. ჩესნოკოვი ნიცის საერთაშორისო ტურნირში პირველ ნომრად იყო განთესილი და არც თუ უსაფუძვლოდ. იგი ნახევარფინალში გავიდა, სადაც ფრანგ ანრი ლეკონტს შეხვდება.

პარიზი. „სარტეს" ტრადიციულ ველორბოლაში პროლოგის შემდეგ პირველი ეტაპი გაიმართა. აქ ყველას შეჯიბრების მასპინძელმა ჟ. კ. კოლოტიმ აჯობა. საბჭოთა ველოსიპედისტებმა ვ. ეკიმოვმა და დ. ჟდანოვმა შესაბამისად V და VI ადგილები დაიკავეს. ლიდერობა კი მეორე ფრანგმა ველოსიპედისტმა ტ. მარიმ იგდო ხელთ. ეკიმოვი მას 2 წამით ჩამორჩება.

სოფია. საბჭოთა მსროლელებმა გაიმარჯვეს აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში. „სტანდარტის" კლასის შაშხანით სროლაში (წოლელა მდგომარეობიდან) მოსკოველმა ს. ფომინმა 600 შესაძლებლიდან 587 ქულა დააგროვა. რიგელი ი. სერიოგინი უძლიერესი იყო სამი მდგომარეობიდან სროლაში — 576 ქულა.

ლისაბონი. აქ მიმდინარე მხატვრულ ტანვარჯიშეთა საერთაშორისო ტურნირში, რომელშიც 15 ქვეყნის სპორტსმენები გამოდიოდნენ, პირველი ადგილი დაიკავა ნორჩმა კრისტინა კლიუკავიჩუტემ — 39,4 ქულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ კონსტიტუციის დღის აღსანიშნავად

ზეიმობდა ქუთაისი

ეს უძველესი ქალაქი მუდამ ახალგაზრდულად გამოიყურება, რადგან უმაღლესი, საშუალო-ტექნიკური და პროფტექნიკური სასწავლებლების სიმრავლე ახალისებს მის ქუჩებსა და მოედნებს, მაგრამ სულ სხვანაირად გამოიყურებოდა ჰაღარა ქუთაისი 14 აპრილს — რიონისპირა ქალაქს ესტუმრა ჩვენი რესპუბლიკის ასობით სტუდენტი, რომლებმაც მრავალ საინტერესო და შინაარსიან ღონისძიებაში მიიღეს მონაწილეობა. ერთი სიტყვით, ახალგაზრდობის სიმრავლემ სხვა ელფერი შემატა საქართველოს კონსტიტუციის დღისადმი მიძღვნილ ზეიმს.

სპორტული ზეიმი საბრძოლო დიდების მემორიალთან დაიწყო, სადაც სტარტი აიღო მასობრივმა მძლეოსნურმა კროსმა.

ზეიმის „ეპიცენტრი“ კი ქუთაისის ცნობილი ბულვარი იყო. სწორედ აქ ჩატარდა საჩვენებელი გამოსვლები კრივში, ფარიკაობაში, ჭადრაკში. ზურნის ხმამ ქართული ჭიდაობის ათასობით ქომაგი იხმო აკაკის ძეგლის მახლობლად.

აქვე ავტომექანიკური და პოლიტექნიკური ტექნიკუმების მოსწავლეები ერთმანეთს შეეჯიბრნენ ბაგირის გადაძალვაში, სიმძიმეების აწევაში, ქართულ ეროვნულ თამაშობებში.

დიდი ინტერესი გამოიწვია სპორტკომბინატის დარბაზში ჩატარებულმა საოჯახო სპარტაკიადამ დევიზით: „დედა, მამა, მე და ზურგჩანთა“, სადაც აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მოსამზადებელი საამქროს ქვეოსტატის გივი ერმოლენკოს გამოცდილმა სპორტულმა ოჯახმა გაიმარჯვა. მართალია, ტყავფეხსაცმელების კომბინატის III საამქროს მუშის თ. ხუბუკელაშვილის ოჯახმა მეორე ადგილი დაიკავა, მაგრამ ამ გუნდის პატარა წევრებმა ყველა მოხიბლეს ქართული სიმღერებით — ტურისტული ლაშქრობა ხომ სიმღერის გარეშე წარმოუდგენელია. მათ არც არასასურსათო ვაჭრობის სამმართველოს ფასების განყოფილების უფროსის გ. უსანოვის ოჯახის წევრები ჩამორჩნენ და მესამე ადგილთან ერთად გულშემატკივართა სიმპათიებიც დაიმსახურეს.

თუმცა, რომელი ერთი შეჯიბრება და ღონისძიება ჩამოვთვალო? სამატჩო შეხვედრები გამართეს პოლიტექნიკური და პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტებმა, ტექნიკუმების და პროფსასწავლებლების აღსაზრდელებმა.

მიკრორაიონების სპორტულ ბაზებზე კი მოსახლეობა მასობრივ შეჯიბრებებში მონაწილეობდა.

იმ დღეს მაღალმთიან ტურისტულ ლაშქრობაში გაეგზავნენ კოოპერაციული ტექნიკუმის მ. ჭიჭინაძის სახელობის ტურისტული კლუბის წევრები.

გვიან საღამომდე გაგრძელდა ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის, პროფკავშირების სპორტსაზოგადოების საქალაქო საბჭოს მიერ ორგანიზებული ღონისძიებები, რომლებმაც ათასობით ქუთათური თუ ქალაქის სტუმარი მიიზიდა. ერთს ვინატრებდით: ასეთი მასობრიობა და ახალგაზრდული შემართება ყოველ სპორტულ ზეიმს დაებედოს.

თამაზ კოლხიდელი
(„ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტი).
ქუთაისი.

ყურადღება: პრობლემა

ჩრდილები გუდაურის ფერდობებზე

ახლახან გუდაურში დამთავრებული სამთო მოთხილამურეთა საერთაშორისო ასპარეზობის „გუდაურის გაზაფხული-88“ ორგანიზაციამ ჩინებული შეფასება დაიმსახურა. ასპარეზობის მონაწილეები გაემგზავრნენ და ახლა მთის ფერდობები თხილამურებით სრიალის მოყვარულთა განკარგულებაშია. რა შეუძლია მისცეს მათ დღეს გუდაურმა?

...შაბათ დილით მივდივართ სათხილამურო აღჭურვილობის გაქირავების პუნქტთან.

— თხილამურები არ არის, — გვითხრა პუნქტის გამგემ, მოლარემ, მონტიორმა და დამლაგებელმა გენადი ელოშვილმა. — დაიგვიანეთ. თქვენზე აღრე იყო ტურისტთა ჯგუფი.

ამ დროს კი საქართველოს სამხედრო გზის მონაკვეთზე ფასანაურიდან გუდაურამდე, აღრე დილის მიუხედავად, მიმდინარეობს ავტობუსების თავისებური რალი. ეს ტურისტული ჯგუფები იბრძვიან „გაქირავების პუნქტის კართან პირველობისათვის“.

გაქირავების პუნქტი მდებარეობს პატარა სარდაფში, რომელიც ნესტიანია და არ თბება. სიცივე ძვალსა და რბილში ატანს. არ არის სათხილამურო ფეხსაცმლის საშრობი, აქაურმა ინვენტარმა კი ამოწურა ვარგისიანობის ყველა ვადა. მოგვიანებით ამაში დარწმუნდა ერთ-ერთი ჩვენგანი, რომელსაც სრულიად მოულონდელად გაუტყდა თხილამურის სამაგრი.

მაგრამ ნურც იმათი შეგშურდებათ, ვინც მოასწრო ჩვენზე აღრე მოსვლა. უმოწყალოდ აცხუნებს მთის მზე, ტრასაზე კი არ დგას არცერთი კოისკი, სადაც შეიძლება გამაგრილებელი სასმელების ყიდვა. ვერსად ვერ წაიხემსებ, თუმცა, ვაჭრობის მუშაკებს გარკვეულწილად ცვლის „კერძო სექტორი“. აქ აქაური მოხუცი ქალები, ასაკის მიუხედავად, არ იზარებენ სამთო ტრასებზე ასვლასა და გაცხოველებული ვაჭრობა აქვთ გაჩაღებული მზესუმზირით, ჩირით, კვერით, ტყლაპით, და... ჩვეულებრივი სასმელი წყლით. „პეპსი-კოლის“ ბოთლში ჩასხმული წყალი ორმოცდაათი კაპიკი ღირს. საერთაშორისო ასპარეზობის დროს კი ვაჭრობა კარგად იყო ორგანიზებული. მართალია, ყველა სავაჭრო წერტილი მდებარეობდა საავტომობილო გზასთან.

მასობრივ სათხილამურო ადგილებზე კი უნდა იდგეს ფარები, რომლებიც ზედმეტად „ფიცხ“ მოთხილამურეებს შეატყობინებენ, რომ ტრასაზე არ არის არცერთი სამედიცინო პუნქტი და მაშასადამე — ექიმებიც. ტრავმის შემთხვევაში თითოეულს მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონდეს. იქვე, ალბათ, უნდა წავაწეროთ: სამთო-სათხილამურო ცენტრში არ არის აფთიაქი...

— ყველა ეს და სხვა პრობლემა ვიცით, — თქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი კურორტების სამმართველოს უფროსის მოადგილემ თამაზ სანაძემ. — მაგრამ გუდაური სულ ახლახან გადმოგვცეს. შევიმუშავეთ საქმის გაუმჯობესების მთელი რიგი ღონისძიებანი. ამ სეზონის დამთავრების შემდეგ დაიწყება სასტუმრო „ბიდარას“ კაპიტალური რემონტი, რომელიც სავალალო მდგომარეობაშია. მთლიანად მოვაგვარებთ სასმელი წყლის პრობლემას, გავიყვანთ კანალიზაციის მილებს. სამთო-სათხილამურო ტრასების გასწვრივ გაჩნდება სავაჭრო კიოსკები, მედპუნქტი, სანიტარული წერტილები. სასტუმრო კომპლექსის „გუდაურის“ მახლობლად ავაშენებთ ახალ გაქირავების პუნქტს. უკვე შევისყიდეთ 100 წყვილი თხილამური და 200 წყვილი სათხილამურო ფეხსაცმელი, რომელთა საერთო ღირებულება 66 ათასი მანეთია. ორი ინსტრუქტორი თხილამურებით სრიალს ასწავლის ყველა მსურველს. უთუოდ გამოვყოფთ ოთახს აფთიაქისათვის. რაც შეეხება იმათი ავტომანქანების სადგომს, ვინც გუდაურში რამდენიმე საათით ამოვიდა, ამ საკითხის გადაწყვეტა მთლიანად არის დამოკიდებული ყაზბეგის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომზე.

— როგორი იქნება კვების ფასები? დამსვენებლები დიდი ხანია ჩივიან, რომ იგი ძალზე ძვირია.

— ასე იყო ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ, ფასებს აწესებდა ცეკავშირი. ახლა კი ობიექტები საზკვებას ეკუთვნის და ფასებიც აქ იქნება სახელმწიფო, ესე იგი ყველასათვის ხელმისაწვდომი. მომავალი სეზონისათვის, რომელიც ოქტომბერში გაიხსნება, ვალდებული ვართ გადავჭრათ ეს პრობლემები.

საქართველოს სამთო-სათხილამურო სპორტის მოყვარულები დიდი ხანია ელიან გუდაურში მინიმალურ მოსახერხებელ პირობებს მაინც. გვინდა გავიზიაროთ ეს რწმენა. სამმართველომ უკვე გვიჩვენა, რომ მას შეუძლია კურორტის პატრონობა.

ასე რომ, დაველოდოთ ახალ სეზონს.

ვ. ბარნოვი,
გ. კორძაძე,
საქინფორმის სპეციალური კორესპონდენტები.

ᲕᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ

„ქიმწმენდის პუნქტი სტადიონზე“

როგორც „ლელოს“ მკითხველებმა იციან, თბილისის „დინამოს“ სტადიონზე წლევანდელი სეზონის პირველ მატჩზე და შემდგომაც ფეხბურთის სანახავად მისული მაყურებელი შინ საღებავით დასვრილი ტანსაცმლით ბრუნდებოდა. იმთავითვე ამ ფაქტს, ალბათ გახსოვთ, დაუყოვნებლივ გამოეხმაურა „დინამოს“ სპორტკომბინატის დირექცია და ფეხბურთის გულშემატკივრებს გაზეთის ფურცლებზე ბოდიშიც მოუხადა. მაგრამ დრო გავიდა, საღებავის გაშრობას კი ბოლო არ უჩანს, მაყურებელი ყოველ მატჩზე კვლავ და კვლავ ისვრება საღებავით. 5 აპრილს „ლელომ“ ისევ გამოაქვეყნა კრიტიკული წერილი სათაურით: „ქიმწმენდის პუნქტი სტადიონზე“. მხოლოდ ამის შემდეგ მივიღეთ პასუხი ქუთაისის ლითოფონის ქარხნის ხელმძღვანელებისგან. ქარხნის დირექტორი გ. ქირია გვწერს: „1988 წლის 8 თებერვალს სპორტკომბინატ „დინამოს“ დირექციის თხოვნით ჩვენს მიერ გაცემულ იქნა 5208 კგ „ტიტანის მათეთრა“. საღებავი დამზადებულია ტექნოლოგიის სრული დაცვით. ფაქტი, თუ რატომ არ გაშრა „დინამოს“ სტადიონის ტრიბუნებზე საღებავი, საგანგებოდ შევისწავლეთ. გამოირკვა, რომ საღებავის გარკვეული ნაწილი ჩამოსხმული იქნა მომხმარებლიდან დაბრუნებულ 200-ლიტრიან გლიცერინის კასრებში. კასრები სათანადოდ არ იქნა გასუფთავებული, რამაც ზეგავლენა მოახდინა საღებავზე. ამასთან მომხმარებლის ოპერატიული მოქმედებით შეიძლებოდა ფაქტის თავიდან აცილება. ქარხნის კოლექტივი ბოდიშს უხდის ფეხბურთის გულშემატკივრებს და ვალდებულებას იღებს შეფობა გაუწიოს „დინამოს“ სტადიონს მომავალი სეზონის მაღალ დონეზე გახსნაში. რაც შეეხება „ლელოს“ პუბლიკაციებზე პასუხის დაგვიანებას, ეს გამოწვეული იყო საკითხის ღრმად შესწავლით. ამასთან გაცნობებთ, რომ დამნაშავენი მკაცრად დაისაჯნენ და შემუშავდა ღონისძიებები მომავალში ასეთი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად“.

მკითხველი ალბათ დაგვეთანხმება, რომ ლითოფონის ქარხნის დირექტორის გ. ქირიას პასუხში ბევრი რამ არის ბუნდოვანი და გაუგებარი. თავს ნებას მივცემთ დირექტორს ვკითხოთ: ვითომ ქარხნის მუშაკებს არ უნდა სცოდნოდათ როგორ ჭურჭელში ასხამდნენ საღებავს? ანდა, ვის უნდა გაესუფთავებინა კასრები, როგორც თქვენ წერთ „სათანადოდ“? და კიდევ: რას ნიშნავს ფრაზა — „მომხმარებლის ოპერატიული მოქმედებით შეიძლებოდა ფაქტის თავიდან აცილება?“

ახლა ექსპერტიზის შედეგს გავეცნოთ: ჩვენს წინაა საქართველოს სსრ სავაჭრო-სამრეწველო პალატის სასაქონლო ექსპერტიზის თბილისის ბიუროს დასკვნა: „დამტკიცდა, რომ საღებავ „ტიტანის მათეთრას“, რომელიც დამზადებულია ქუთაისის ლითოფონის ქარხანაში, მარკირება და დამზადების ხარისხი არ შეესაბამება მოთხოვნებს, რის გამო დანიშნულებისათვის გამოსაყენებლად უვარგისია“.

თავის მხრივ ექსპერტიზა ჩაატარა (ორჯერ) სსრ კავშირის სახელმწიფო სტანდარტების საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს ხარისხის ლაბორატორიამ. ორივე დასკვნაში ვკითხულობთ: „ანალიზისთვის აღებული „ტიტანის მათეთრას“ სინჯი არ შეეფერება მოთხოვნებს“. ახლა გავიხსენოთ ქარხნის დირექტორის პასუხი, სადაც გვწერს, რომ „საღებავი დამზადებულია ტექნოლოგიის სრული დაცვით“.

ქუთაისელთა საღებავი სტანდარტით უნდა შრებოდეს 35 საათის განმავლობაში. მას შემდეგ კი, რაც „დინამოს“ სტადიონის ტრიბუნები შეღებეს, 35 საათიც გავიდა და 35 დღეც, მაგრამ...

იძულებული ვართ ფეხბურთის გულშემატკივრებს ვაუწყოთ: იყავით ფრთხილად! შეღებილი ტრიბუნების გაშრობის იმედი საბოლოოდ გადაიწურა.

ᲕᲘᲜᲪ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲡ

ᲘᲡᲔᲗ სპორტულ დარბაზს, როგორიც თბილისის 50-ე საშუალო სკოლას აქვს, ბევრი სპორტული სკოლა ინატრებდა. მართალია, დარბაზი ახალი აშენებულია (შარშან სექტემბერში ჩადგა მწყობრში) და ჯერ კიდევ არ არის მთლიანად აღჭურვილი საჭირო სპორტული ინვენტარით, მაგრამ მის მოსაწყობად მონდომებით შრომობენ უფროსკლასელები, რომლებმაც თავისი ხელით დაამზადეს ხელბურთისა და მინიფეხბურთის კარები, აწყობენ შვედურ კედელს.

როგორც ფიზკულტურის მასწავლებელი სვეტლანა ენიკოლოპოვა ამბობს, მოსწავლეებს დიდ სიამოვნებას ანიჭებს ამ ლამაზ და ნათელ დარბაზში მეცადინეობა, აღარ აცდენენ ფიზკულტურის გაკვეთილს, ცდილობენ მუდამ სპორტული ფორმები ეცვათ.

ჩვენს მიერ შემოთავაზებული ფოტორეპორტაჟი მეოთხეკლასელთა ფიზკულტურის გაკვეთილის ფრაგმენტებს გაგაცნობთ. მოსწავლეები ცდილობენ მასწავლებლის ყველა დავალება უშეცდომოდ შეასრულონ. იციან, ვინც ფიზკულტურას მეგობრობს, ის ყოველთვის ჯანმრთელი, ხალისიანი და შრომისმოყვარეა.

ჯემალ კასრაძის ფოტოები.



ᲛᲔᲮᲡᲐᲜᲫᲠᲔᲗᲐ ᲛᲔᲛᲝᲠᲘᲐᲚᲖᲔ

სიმარჯვე, ძალა და გამბედაობა უჩვენეს რუსთავში სპორტის ოსტატის ბონდო შანიძის ხსოვნის პრიზზე გამართული სახანძრო-გამოყენებითი სპორტის საქართველოს მე-14 ღია ჩემპიონატის მონაწილეებმა. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ასპარეზობის მასპინძლებმა. მეორე ადგილზე გავიდა ფოთის ნაკრები, მესამეზე—თბილისის გუნდი.

პირად ჩათვლაში გაიმარჯვა თბილისელმა ვარდენ რუსეიშვილმა. მან ყველას ჯობა ასმეტრიან დაბრკოლებათა ზოლის გადალახვაში, ყველაზე სწრაფად ავიდა სასწავლო კოშკის მეოთხე სართულზე საიერიშო კიბით, თანაგუნდელ მერაბ მიქელაძესთან ერთად გაიმარჯვა გასაშლელი კიბით ასპარეზობაში.

შეჯიბრების მონაწილეებმა გვირგვინებით შეამკეს ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში მომხდარი ავარიის ლიკვიდაციის დროს დაღუპულთა მემორიალი.

(საქინფორმი).

საქართველოს თასის გათამაშება ქიუდოში

მთავარი ჯილდო—თბილისელ ფალავნებს

ქუთაისის სპორტკომბინატის დარბაზში დამთავრდა საქართველოს თასის გათამაშება ძიუდოში. მართალია, ჩვენი რესპუბლიკის რამდენიმე უძლიერესი მოჭიდავე შეჯიბრებაში არ გამოსულა, ტურნირი მაინც მეტად წარმომადგენლობითი გამოდგა და ორთაბრძოლები საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა; სარბიელზე 14 კოლექტივი — აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, გორის, ხაშურის, თელავის, ყვარლის, ახმეტის, მცხეთის, მესტიისა და ორჯონიკიძის გუნდები იბრძოდნენ.

ფინალისაკენ დამჯერებლად გაიკაფეს გზა თბილისისა და ქუთაისის ნაკრებებმა. დედაქალაქელმა ძიუდოისტებმა „შრალი“ ანგარიშით — 7:0 დაამარცხეს აფხაზეთისა და თელავის გუნდები, ხოლო რიონისპირელმა ფალავნებმა სამხრეთ ოსეთის (6:1), რუსთავისა (7:0) და კასპის (6:1) მოჭიდავეებს სძლიეს.

სწორედ ამ გუნდების შეხვედრაში გადაწყდა საქართველოს თასის ბედი. ფინალისტებს ორ-ორი წამყვანი ძიუდოისტი აკლდათ — თბილისელებს — დ. ნაკანი და დ. ჯიქური, ხოლო მასპინძლებს — ა. კიბორძალიძე და ა. გუბელიძე. მიუხედავად ამისა, გადამწყვეტი შეხვედრა შეუპოვარი გამოდგა.

60 კგ წონითი კატეგორიის ძიუდოისტების მალხაზ ხუბეჯაშვილისა და რობერტ ლომთაძის შეხვედრაში მეტოქეებმა ვერც ერთი მომგებიანი ქულის აღება ვერ შეძლეს და, როგორც გუნდური შეჯიბრების დროს მიღებულია, მსაჯებმა ფრე აღნიშნეს.

პირველი მომგებიანი ქულა მასპინძლებმა მოიპოვეს: 65 კგ წონით კატეგორიაში იმედა ჯიმშელეიშვილმა საბა გუჯეჯიანს სძლია, მომდევნო წონაში (71 კგ) კი გურამ მოდებაძემ დაამარცხა დავით ნიჟარაძე და ანგარიში გაათანაბრა. ფრე აღინიშნა ა. მოსიაშვილის (ქუთაისი) და ბ. ონიანის შეხვედრაშიც. შემდეგ ოლეგ რატიანმა (86 კგ) რ. ხერხაძეს მოუგო და თბილისის გუნდი დააწინაურა. მაგრამ შესანიშნავად იჭიდავა ქუთაისელმა მალხაზ დარჩიამ (ალექსი დონღუზაშვილს სძლია) და მძიმე წონის ძიუდოისტთა ორთაბრძოლამდე ანგარიში საყაიმო გახდა — 2:2. ყველაფერი თბილისელ ვალერი პარუნაშვილისა და ქუთაისელ დავით ხახალეიშვილის შეხვედრაში გადაწყდა. თავიდან ახალგაზრდა ქუთაისელი ძიუდოისტი დაწინაურდა, მისი ილეთი იუკოთი შეაფასეს, მაგრამ გამოცდილებამ თავისი გაიტანა, პარუნაშვილი აქტიურობდა, მსაჯებმა ხახალეიშვილს უმაღლესი გაფრთხილება კეი-კოკუ მისცეს და გამარჯვება მის მეტოქეს მიეკუთვნა.

ამრიგად, მინიმალური ანგარიშით 3:2 გაიმარჯვა თბილისის გუნდმა (იგი შეჯიბრებისთვის მოამზადეს საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა სოლომონ ფეიქრიშვილმა და სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ანზორ მარტყოფლიშვილმა) და საქართველოს თასიც შეინარჩუნა.

მეორე ადგილზე ქუთაისის გუნდი (მწვრთნელები, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ო. მერაბიშვილი და ვ. ბალხამიშვილი) გავიდა, ხოლო მესამე ადგილი გაიყვეს თელავისა და ახმეტის წარმომადგენლებმა.

ალბათ, გულშემოკლილები მაინც ცევდნენ უურადღებას, რომ ძიუდოს აღიარებული ცენტრის, გორის გუნდი ვერ მოხვდა პრიზიორთა შორის. მაგრამ გორელებს ერთბაშად ოთხი წამყვანი ძიუდოისტი: გ. გოგიჩაშვილი, კ. კურტანიძე, ძმები თენაძეები აკლდათ და, ბუნებრივია, ღირსეული წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს მეტოქეებს.

ასპარეზობის შედეგების მიხედვით დაკომპლექტდა რესპუბლიკის ნაკრები, რომელიც მონაწილეობას მიიღებს საკავშირო თასის გათამაშებაში. იგი 25 მაისს დაიწყება პოლარულ ქალაქ ტიუმენში.

თამაზ ხარაბაძე
(„ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტი).

ქუთაისი.

„უნივერსიადა-88“

სრული უპირატესობით

საქართველოს ბევრი უძლიერესი მუშაკეტერი ჩაება სტუდენტთა ზაფხულის სსპორტული თამაშების მოფარიკაკეთა შეჯიბრებაში. „უნივერსიადა-88“-ის საუკეთესო კოლექტივის სახელი (საერთო გუნდური ჩათვლა) დაისაკუთრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ნაკრებმა, რომელიც აშკარად ძლიერი იყო მეტოქეებზე — მოიგო პირად-გუნდური პირველობა ფარიკაობის ოთხსავე დისციპლინაში. ჩათვლაში მეორე ადგილზე გავიდნენ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენლები, მესამეზე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოფარიკაკეები. სულ ასპარეზობაში, რომელიც „ბურევესტნიკის“ სპორტულ კომპლექსში ჩატარდა, რესპუბლიკის 10 უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები გამოდიოდნენ.

ფლეგ ქვარცხლბეკი

ხმალი. 1. ზ. მჭედლიძე; 2. მ. ბაზაძე (ორივე — ფიზკულტურის ინსტიტუტი); 3. კ. მახარაძე (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

გუნდური. 1. ფიზკულტურის ინსტიტუტი; 2. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 3. პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

გოგონები. 1. ქ. გაჩეჩილაძე (ფიზკულტურის ინსტიტუტი); 2. ლ. გიორგაძე (თბილისის უცხო ენათა პედინსტიტუტი); 3. ხ. ჭამუკაშვილი (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

გუნდური. 1. ფიზკულტურის ინსტიტუტი; 2. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; 3. ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი.

რაპირა. ვაჟები. 1. მ. ნუცუბიძე; 2. ს. დემეტრაშვილი (ორივე — ფიზკულტურის ინსტიტუტი); 3. ნ. ასათიანი (პოლიტექნიკური ინსტიტუტი).

გუნდური. 1. ფიზკულტურის ინსტიტუტი; 2. პოლიტექნიკური ინსტიტუტი; 3. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

დაშნა. 1. ჯ. გამიაშვილი; 2. კ. ბალანჩიკაძე; 3. ს. დიმიტრაკი (ყველა — ფიზკულტურის ინსტიტუტი).

გუნდური. 1. ფიზკულტურის ინსტიტუტი; 2. პოლიტექნიკური ინსტიტუტი; 3. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

დავით კოპაძე,
პროფკავშირული სპორტსაზოგადოების ინსტრუქტორი.

ხუთი საუკეთესო—ფინალში

ბოლო ხანს შეჯიბრებები ქართულ ჭიდაობაში უფრო ხალხმრავალი ხდება, ამის მაგალითია ცხაკაიაში გამართული რესპუბლიკური პირად-გუნდური ზონალური პირველობა, რომელშიც 21 რაიონის 151 ფალავანი მონაწილეობდა. მათ შორის იმ რაიონებისაც, რომლებიც ადრე ამ ტურნირს თავს არიდებდნენ (ცაგერი, ჩხოროწყუ). მონაწილეთა რიცხვი კიდევ უფრო მეტი იქნებოდა, აფხაზეთს, აგრეთვე წულუკიძის, წყალტუბოს, ამბროლაურისა და ზესტაფონის რაიონებსაც რომ გამოეყვანათ გუნდები.

პირველობა გათამაშდა 9 წონით კატეგორიაში. აი, გამარჯვებულებიც: **56** კგ. ჯ. პაპინაშვილი, **60.** გ. გორგაძე (ორივე — კასპი); **64.** მ. ტალახაძე (თბილისი); **68.** გ. შიუკაშვილი (ქუთაისი); **72.** გ. გვასალია (ცხაკაია); **78.** ა. მოსიაშვილი (ქუთაისი); **84.** გ. ხარბედია (ცხაკაია); **90.** გ. ქენქაძე (კასპი); **+90.** გ. კოხოძე (თბილისი).

შეჯიბრებამ აგრეთვე გამოავლინა სხვა პერსპექტიული მოჭიდავეები: ზ. ბულაია (ზუგდიდი), თ. მაისურაძე (ონი), ბ. ჩანქსელიანი და ჯამბულიძე (ცაგერი), თ. გამხიტაშვილი (კასპი), დ. რობაქიძე (თერჯოლა), ჯ. დეკანოსიძე (საჩხერე).

ზონალურ ასპარეზობაში I-V ადგილებზე გასული გუნდები რესპუბლიკური პირველობის ფინალში მიიღებენ მონაწილეობას. ეს შეჯიბრება 23-25 აპრილს მცხეთაში გაიმართება.

სიმონ მაისურაძე.

„სპორტპროგნოზი“, მე-17 ტირაჟის პროგრამა (21-25 აპრილი)

სსრ კავშირის ჩემპიონატი შაიბიან ჰოკეიში (უმაღლესი ლიგა)			**პროგნოზი**	
1. „დინამო“ (რიგა) — „სპარტაკი“ (მოსკოვი)	24.IV	60	10	30
სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა)				
2. „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (მინსკი)	24.IV	30	60	10
სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (პირველი ლიგა)				
3. „დაუგავა“ (რიგა) — „როტორი“ (ვოლგოგრადი)	25.IV	80	10	10
4. ახკ „კარპატი“ (ლვოვი) — ახკ (როსტოვი)	25.IV	70	10	20
5. „დინამო“ (ბათუმი) — „შინიკი“ (იაროსლავლი)	25.IV	40	50	10
6. „გურია“ (ლანჩხუთი) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი)	25.IV	30	40	30
7. „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „დინამო“ (სტავროპოლი)	25.IV	60	10	30
8. „ოლიმპია“ (ნიკოპოლი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე)	25.IV	80	10	10
9. „ფაბოკორი“ (ტაშკენტი) — „ცსკა“	25.IV	20	50	30
10. „ბამირი“ (დუშანბე) — „კუზბასი“ (კემეროვო)	25.IV	70	20	10
11. „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „ზვეზდა“ (პერმი)	25.IV	60	20	20
12. „უბანი“ (კრასნოდარი) — „გეოლოგი“ (ტიუმენი)	25.IV	70	20	10
13. „როსტსელმაში“ (როსტოვი) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი)	25.IV	20	40	40

ᲙᲕᲘᲠᲘᲓᲐᲜ ᲙᲕᲘᲠᲐᲛᲓᲔ

„პრავდა“ — 16 აპრილი. „სიეტლის კეთილი ნება“. ინტერვიუ „კეთილი ნების“ მეორე თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტ ბობ უოლშთან.

„იზვესტია“ — 12 აპრილი. „ფიზკულტურისთვის უცხოა პარადულობა“. საბჭოთა კავშირის სპორტსახკომი, საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა და გაზეთი „იზვესტია“ ატარებენ ფიზკულტურულ-გამჯანსაღებელი და სპორტულ-მასობრივი მუშაობის საუკეთესოდ დაყენების საკავშირო დათვალიერებას.

„კომსომოლსკაია პრავდა“ — 10 აპრილი. „რვა წლის ათლეტი“. უნიკალური ფიზიკური მონაცემებითაა დაჯილდოებული მოსკოველი ბიჭუნა კირილ მაქსიმენკო.

13 აპრილი. „სხვა თამაში“. ციხე და სპორტი... რა საერთო უნდა იყოს ამ ორ, სრულიად საწინააღმდეგო, ცნებას შორის?

„სოვეტსკი სპორტი“ — 10 აპრილი. „ვინ არის დამნაშავე?“. ბრიუსელის სტადიონზე მომხდარი უბედურების შესახებ ბევრი დაიწერა, მაგრამ ჰამბურგის ჟურნალი „შტერნი“ კვლავ უბრუნდება ამ თემას.

12 აპრილი. „რომელ გზას გავყვეთ?“ მასობრივი სპორტის შემდგომი განვითარების გზებზე საუბრობენ მეცნიერები.

13 აპრილი. „გაუფრთხილდით მეკარეებს“. წარსულში ცნობილი მეკარის ანზორ კავაზაშვილის წერილი იბეჭდება რუბრიკით „დაინტერესებული თვალით“.

13 აპრილი. „სისასტიკე“, ანუ იმის შესახებ, თუ რა მოხდა თურქმენეთში. რესპუბლიკაში ერთადერთ სპორტული პროფილის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატში.

16 აპრილი. „ჩვენები ევროპაში. და არა მარტო იქ“. მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს სსრ კავშირის სპორტსახკომის ფეხბურთისა და ჰოკეის სამმართველოს უფროსი ვ. კოლოსკოვი.

50 კილომეტრი ნიუ-იორკის ქუჩებში

ნიუ-იორკი. ეს იყო საკმაოდ უცნაური მძლეოსნური შეჯიბრება — „ესტაფეტა ეკიდენ“ ქალაქის ქუჩებში, რომლის 50-კილომეტრიანი ტრასა არათანაბარი სიგრძის ხუთ ეტაპად იყო დაყოფილი. საზაობამ ნიუ-იორკის მცხოვრებთა დიდი ინტერესი გამოიწვია. თითქმის მთელი ტრასა კეთილგანწყობილი მაყურებლებით იყო გაჭედილი.

შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო საბჭოთა კავშირის გუნდმაც, რომელშიც შედიოდნენ (ეტაპების მიხედვით) ლენინგრადელი მიხეილ დასკო, ჩელიაბინსკელი ევგენი ქერებინი, თბილისელი ოლეგ სტრიჟაკოვი, სარატოველი მიხეილ ხრამოვი და მოსკოვის ოლქის წარმომადგენელი ვალერი აბრამოვი. ოლეგ სტრიჟაკოვი ამ ესტაფეტაში 10-კილომეტრიან ეტაპზე ასპარეზობდა.

საბჭოთა კავშირის გუნდმა დისტანცია 2 საათსა და 27,49 წუთში გაირბინა და მეოთხე ადგილი დაიკავა. სპეციალისტების აზრით ეს ურიგო შედეგი არ არის, მით უმეტეს, რომ ჩვენი მძლეოსნები ამგვარ ასპარეზობაში პირველად მონაწილეობდნენ.

გამარჯვება ირლანდიელმა მძლეოსნებმა მარკუს ოსალივანმა, ფრენკ ომარამ, როი დუნიმ, ჯონ ტრისიმ და ჯონ დოჰერტიმ მოიპოვეს — 2:25.12, 50-ს გუნდი გამარჯვებულს 0,47 წამით ჩამორჩა, ინგლისისა კი 1 წუთით და 17 წამით.

შეინარჩუნეს ადგილები

კლაიპედა. აქ დამთავრდა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის გადასასვლელი ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდა ოთხი გუნდი — ტალინის „კალევი“ და ლენინგრადის „სპარტაკი“, როგორც ბოლო ჩემპიონატის აუტსაიდერები, ნოვოსიბირსკის „ლოკომოტივი“ და ნიკოლაევის გემთმშენებელი ინსტიტუტის გუნდი, როგორც პირველი ლიგის ლიდერები.

ტურნირი წარმატებით განვლო და პირველი ადგილი დაიკავა „კალევმა“, რომელმაც მეტოქეებთან ორწრიან შეხვედრებში ხუთი გამარჯვება მოიპოვა, II ადგილზე ლენინგრადის „სპარტაკი“ გავიდა, ამ ორმა კოლექტივმა შეინარჩუნა ადგილი უმაღლეს ლიგაში. ნოვოსიბირსკისა და ნიკოლაევის კალათბურთელები კი დარჩნენ პირველ ლიგაში.

გათამაშების საბოლოო ცხრილი

	თ.	მ.	წ.	ქ.
„კალევი“ (ტალინი)	6	5	1	11
„სპარტაკი“ (ლენინგ.)	6	4	2	10
„ლოკომ.“ (ნოვოსიბ.)	6	2	4	8
გემთმშ. ინსტ. (ნიკოლ.)	6	1	5	7

ფალავნებს უხმობს სარბიელი

(დასასრული)

გარეჯოელი კობა კურტანიძის წარმატებას უფრო სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა. ხაშურელებმა შეხვედრის დასაწყისშივე სოლიდურ უპირატესობას მიაღწიეს — 4:1, მხოლოდ ცნობილი ძიუდოისტის ვალერი პარუნაშვილის ორმა გამარჯვებამ (პირველი მოიგო, მეორეში კი მეტოქე არ გამოვიდა საჭიდაოდ) საგარეჯოელებს ცოტა გამოუკეთა მდგომარეობა.

ახმეტის რაიონის სოფელ ქიხტაურის ფალავნებმა დაამარცხეს ლაგოდეხის რაიონის სოფელ აფენის გუნდი, თუმცა ამაში მათ ნაწილობრივ მეტოქემ შეუწყო ხელი: აფენელთა შემადგენლობაში არ იყო 17 წლამდე ასაკის მოჭიდავე, მათი ფალავანი გიორგი მელაძე კი ორჯერ გამოვიდა სარბიელზე. მართალია პირველში ლამაზი გდებით წმინდა გამარჯვება მოიპოვა, მაგრამ შემდეგ 40 კილოგრამით უფრო მძიმე მეტოქეს გიორგი კვიცაშვილს შეხვდა და დამარცხდა. საბოლოოდ 6:3 გაიმარჯვეს ახმეტელმა მოჭიდავეებმა.

გორისა და კასპის რაიონის სოფელ მეტეხის გუნდების შეხვედრა დიდი ანგარიშით მოიგეს კასპელებმა — 7:1. მიუხედავად იმისა, რომ გორელებმა ბოლო ორ ბრძოლაზე უარი თქვეს, მაინც საკვირველია მათი მარცხი. ჭიდაობაში ისეთი ტრადიციების ქალაქში, როგორიც გორია, საქმისადმი ასეთი დამოკიდებულება არ ეპატიებათ.

აუცილებლად უნდა ითქვას მაყურებლთა და ფალავნთა პრეტენზიებზე მეტოქეებსა და მსაჯების მიმართ. იყო რამდენიმე ოფიციალური პროტესტიც, ხოლო არაოფიციალურს ყველა საკუთარი თვალით ხედავდა. განსაკუთრებით ნერვულ კვეთაებში ჩატარდა საგარეჯოსა და ხაშურის, აგრეთვე გორისა და კასპის მოჭიდავეების შეხვედრები.

თერთმეტ ნოკაუტში

უმცროსი ასაკის ჭაბუკ (1974-1975 წ. წ.) ძიუდოისტთა საქალაქო პირველობამ 140-ზე მეტ ჭაბუკ სპორტსმენს მოუყარა თავი. სხვებზე უკეთ გამოვიდნენ რესპუბლიკის სპორტსახკომის სასწავლო-საწვრთნელი ცენტრის სპორტსკოლისა და თბილისის განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვების სპორტსკოლის აღსაზრდელები.

ოლიმპიური რეზერვების სპორტული სკოლის წევრთაგან ჩემპიონები გახდნენ: გ. ჯანგირაშვილი (38 კგ), თ. ოდიშვილი (41 კგ), ნ. ედიშერაშვილი (45 კგ), ა. ღვინიაშვილი (62 კგ), გ. ლომსაძე (68 კგ), თ. ლაფაური (მძიმე). სასწავლო-საწვრთნელი ცენტრის სპორტსკოლის მოჭიდავეთაგან კი მ. აბაშიძე (35 კგ), ფ. კახელიშვილი (49 კგ), ლ. ციგრიაშვილი (53 კგ), ლ. ლაკბერიძე (75 კგ). ერთი ჩემპიონი პროფკავშირების სპორტსაზოგადოებისა იყო — ბ. სინჯარაძე (57 კგ).

დ. მორგოშია.

უნივერსიტეტელთა წარმატება

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ ჩატარდა კალათბურთელ ქალთა რესპუბლიკური ჩემპიონატი. თავიდან შეჯიბრებაში მონაწილე გუნდები ორ ქვეჯგუფად იყვნენ დაყოფილი. პირველში ასპარეზობდნენ უნივერსიტეტის, აფხაზეთის, ფიზკულტურის ინსტიტუტისა და ა. პუშკინის სახელობის თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის კალათბურთელები. მეორეში — „მართველ“, აჭარის, ქუთაისისა და რუსთავის გუნდები.

ჯგუფებში პირველ-მეორე ადგილებზე გასულმა კოლექტივებმა ფინალისტთა ოთხეული შექმნეს, რომელმაც გაითამაშა კიდეც სპრინზო ადგილები, მეორე ოთხეულმა ერთმანეთში გაინაწილა V-VIII ადგილები.

უძლიერესთა ოთხეულის შეხვედრები ასე დამთავრდა: უნივერსიტეტი — ქუთაისი 96:74 (51:31), „მართველ“ — ფიზკულტურის ინსტიტუტი 84:63 (37:29), უნივერსიტეტი — „მართველ“ 87:70 (52:32), ქუთაისი — ფიზკულტურის ინსტიტუტი 78:54 (40:25).

საბოლოოდ რესპუბლიკის ჩემპიონის სახელი უნივერსიტეტის გუნდმა მოიპოვა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: 2. „მართველ“, 3. ქუთაისი, 4. ფიზკულტურის ინსტიტუტი, 5. რუსთავი, 6. პედაგოგიური ინსტიტუტი, 7. აჭარა, 8. აფხაზეთი.

უმაღლეს ლიგაში

12 და 15 აპრილს გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის ორი მატჩი.

„არარატი“ — „დინამო“ (მოსკოვი) 0:1 (0:0). გადამწყვეტი ბურთი მასპინძელთა კარში 86-ე წუთზე გაიტანა ბოროდიუკმა.

გააფრთხილეს ერევნელი სარქისიანი და მოსკოველი სკლიაროვი.

დუბლიორები — 0:1.

„დინამო“ (მინსკი) — „ზენიტი“ 1:1 (1:1). ბურთები გაიტანეს აფანასიევმა („ზენიტი“) და კისტენმა („დინამო“).

გააფრთხილეს ლენინგრადელი ფეხბურთელი ტიმოფეევი.

დუბლიორები — 0:1.

საჭადრაკო კომპოზიცია

მეცნიერთა გატაცება

ᲔᲘᲥᲕᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲣᲠᲘ

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ

ჭადრაკის უამრავ თაყვანისმცემელთა შორის ბევრი გამოჩენილი მუსიკოსი, მწერალი, მხატვარი თუ მსახიობი შეიძლება დავასახელოთ. მაგრამ შემოქმედებითი პროფესიის წარმომადგენელთაგან პირველობის პალმა უდავოდ მოჭადრაკე-მეცნიერებს ეკუთვნით. ბუნებრივია, რომ მათ შორის გარკვეული ნაწილი საჭადრაკო პოეზიად მონათლულ დარგს — კომპოზიციასაც ეზიარა. ისტორია იცნობს გამოჩენილ მეცნიერებს, ვის მიერ შედგენილ საჭადრაკო ამოცანებსა და ეტიუდებს ღირსეული ადგილი უჭირავთ საკომპოზიციო ნაწარმოებთა ოქროს ფონდში.

საბჭოთა მეცნიერების დღისადმი მიძღვნილ ერთ წერილში ძნელია ყველა მთგანის ჩამოთვლაც კი. მაგრამ არ შეიძლება არ ითქვას ცნობილი ეტიუდისტის, კომპოზიტორთა საერთაშორისო კომისიის ვიცე-პრეზიდენტის ბორის სახაროვის (1914-1973) შესახებ, რომელიც როგორც იშვიათი ლითონების ქიმიისა და ტექნოლოგიის თვალსაჩინო სპეციალისტი, არჩეული იყო საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. ცეცხლგამძლე ნაკეთობათა ტექნოლოგიის კვლევას მიუძღვნა მრავალი ნაშრომი ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორმა ვლადიმირ ბრონმა (1909-1985), რომელიც კომპოზიციის საერთაშორისო დიდოსტატის მაღალ წოდებას ატარებდა. გლაციოლოგიის სკოლის შემქმნელად ითვლება გამოჩენილი პრობლემისტი მიხეილ ტრონოვი (1892-1978), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი და სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. წელს ოთხმოცისა უნდა გახდეს საბჭოთა კავშირის პირველი სპორტის ოსტატი კომპოზიციაში, გამოჩენილი მოსკოველი პრობლემისტი ალექსანდრე გულაევი, რომელმაც სახელი გაითქვა ლითონმცოდნეობის და ლითონთა თერმული დამუშავების დარგში.

აღსანიშნავია, რომ ქართველ საჭადრაკო კომპოზიტორთა გარკვეული ნაწილიც სამეცნიერო მოღვაწეობას ეწევა. მათ შორის განსაკუთრებით უნდა მოვიხსენიოთ ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი ოთარ ტაბიძე (1925-1986), რომელიც სამსვლიანი ამოცანების დარგში რესპუბლიკის პირველი ჩემპიონი იყო. ამასთან, წარმატებით მუშაობდა კომპოზიციის სხვა ჟანრებშიც და საინტერესო, ორიგინალური ნაწარმოებებით გაამდიდრა ქართული საჭადრაკო ხელოვნება. ქვემოთ მოყვანილი კომპოზიცია, პირველი საპატიო შეფასებით აღნიშნული იუგოსლავიურ ჟურნალ „პრობლემის“ კონკურსზე, ხუთფიგურიანი („პაწია“) ამოცანის კლასიკურ ნიმუშად უნდა ჩაითვალოს.

Ო. ᲢᲐᲑᲘᲫᲔ, 1967



შამათი 5 სვლაში

შეეცადეთ მიაგნოთ მის ორვარიანტიან ამოხსნას, რომელიც ორ ექო-სანიმუშო შამათს შეიცავს.

საეტიუდო ხელოვნებაში თვალსაჩინო წარმატებები აქვთ მოპოვებული სპი-ს დოცენტს, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატს ელგუჯა კვეზერელს და ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტის ახალგაზრდა თანამშრომელს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატს მერაბ გოგბერაშვილს. საყოველთაოდ არის ცნობილი ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის, დიდოსტატ იოსებ კრიხელის შთამბეჭდავი სპორტულ-შემოქმედებითი მიღწევები. მას დიდი ავტორიტეტი აქვს „ზღაპრული ჭადრაკის“ კომპოზიტორთა შორის, ხოლო ჩვენს ქვეყანაში ლოგიკური საამოცანო სკოლის მიმდევართა ლიდერად არის აღიარებული.

Ი. ᲙᲠᲘᲮᲔᲚᲘ, Ბ. ᲒᲔᲚᲑᲔᲠᲜᲐᲮᲘ, 1981



შამათი 8 სვლაში

ამ კოლექტიურ მინიატურაში სწორედ ლოგიკური სკოლისათვის დამახასიათებელი თამაში მიმდინარეობს. შევნიშნავთ, რომ იგი შეიცავს მთავარ გეგმას (თეთრების რეალური ან პირობითი მანევრი, რომელიც მიზანს უცვლ ვერ აღწევს გარკვეული წინააღმდეგობის გამო): 1. ლh3+ მფg1 2. კd4×?, რომელიც ვერ სრულდება, რადგან შავები d4 უჯრას აკონტროლებენ. საჭირო ან ამ კონტროლის მოხსნა, ან კუს გადაყვანა უკონტროლო უჯრაზე. ამისათვის თეთრები მოსამზადებელ თამაშს გეგმავენ: 1. ლe2! მფg1 2. კh2+ მფh1 3. კf4! მფg1. კუ დაგეგმილ უჯრაზე მოხვდა. ახლა საჭიროა, რომ ლაზიერი და მეფე საწყის ადგილებს დაუბრუნდეს. 4. კe3+ მფh1 5. ლg4 მფh2 6. კf4+ მფh1. გეგმა განხორციელდა და შეიძლება იდეური კომბინაციის ჩატარება: 7. ლh3+ მფg1 8. კe3×. ლოგიკური სტილის უაღრესად დახვეწილი და შთამბეჭდავი ნაწარმოებია!

დასასრულს, ამოსახსნელად გთავაზობთ მეტალურგიის სპეციალისტის, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის ავენირ პოპანდოპულოს მრავალსვლიან ამოცანას. მისი ავტორი ცნობილი ლენინგრადელი საერთაშორისო ოსტატია. მას ეკუთვნის საყურადღებო აზრი იმის შესახებ, თუ რა საერთო აქვს მეცნიერებას და კომპოზიციის ხელოვნებას: „ეს ერთი და იგივე შემეცნების პროცესის ორი მხარეა. მათ შემეცნების ბევრი საერთო „ინსტრუმენტი“ აქვთ. ფანტაზია, ლოგიკა (ფორმალური და დიალექტიკური), ინტუიცია, ცდა-ფანტები — სპეციალური ოქაც და ოქაც ფანტაზია, ლოგიკური ტრადიცია, ერუდიცია, ინტერესი, ენერგია, ეკონომიურობა“ და გამომგონებლურად ფიქრის უნარი — აი, ის საერთო, რაც საჭადრაკო კომპოზიციას და მეცნიერებას აახლოებს. ძიება და გადაწყვეტის პარადოქსულობა თან მდევს საჭადრაკო დაფაზე და პროფესიულ საქმიანობაში“.

Ა. ᲠᲝᲠᲐᲜᲓᲝᲞᲣᲚᲝ, 1957



შამათი 4 სვლაში

ველით თქვენს ამოხსნებს, ძვირფასო მეგობრებო!

ᲐᲛᲝᲮᲡᲜᲐ

„ლელოს“ 3 აპრილის ნომერში დაბეჭდილი ვ. პაულის „გასაიდუმლოებული“ ორსვლიანი ამოცანის ამოხსნები: ა) მფb1 — 1. c8ლ!, ბ) მფe7 — 1. c8ე!, გ) მფa7 — 1. c8კ!, დ) მფe8 — 1. c8მ! ვ. ლანგსტაფის სახუმარო ერთსვლიანი ამოცანა, რომელშიც ცხრა (!) თეთრი პაიკი მონაწილეობს, მხოლოდ მაშინ ამოიხსნება, როცა დაფიდან ნებისმიერ თეთრ პაიკს ავიღებთ.

ვაქვეყნებთ იმათ გვარებს, ვინც პირველმა გამოგზავნა ზუსტად გაფორმებული პასუხი: ნ. კახიძე (ბათუმი), მზია შავდათუაშვილი (გორი), ე. საბეკია (კირცხი, ჩხოროწყუს რ.), მ. კობახიძე, ნინო კარგარეთელი, ქეთინო და მაკა ყურავები, თ. ფრუიძე, ა. მიშველაძე, ნინო და ა. ანდიაშვილები, ო. მამულაშვილი (ყველა — თბილისი).

ᲘᲝᲒᲐ—ᲯᲐᲜᲐᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ

ᲗᲐᲕᲖᲔ ᲓᲒᲝᲛᲐ (ᲮᲘᲠᲨᲐᲡᲐᲜᲐ)

(ᲮᲣᲠ. ა. ბ. გ. დ. ე. ვ. ზ. თ).

ამ პოზას ყველა პოზის მეფეს უწოდებენ. მათი შესრულება შეიძლება მხოლოდ მასწავლებლის მეთვალყურეობით.



გაშალეთ ოთხად დაკეცილი ზეწარი (ქსოვილი). ის არ უნდა სრიალებდეს. დაეშვით მუხლებზე. გადააჭდეთ ხელების თითები ერთმანეთს. ხელების ქვედა ნაწილები დააწყეთ იატაკზე. დაბარეთ თავი ისე, რომ ხელები კეფაზე დაიწყოთ. ასწიეთ ფეხები და ვერტიკალური მდგომარეობა მიაღებინეთ მათ. დასაწყისისათვის პოზაში მხოლოდ რამდენიმე წამი დარჩით. შემდეგ გაადიდეთ დრო, სანამ 20-30 წუთს მიაღწევთ. პოზის დამთავრებისას ფეხები ნელა დაუშვით. ყველა მოძრაობა ნელა უნდა შეასრულოთ. ეცადეთ გამორიცხოთ მკვეთრი მოძრაობები. აუცილებლად ცხვირით ისუნთქეთ. უმჯობესია ივარჯიშოთ უზმოზე. თუ შესაძლებლობა გაქვთ, სასურველია შეასრულოთ პოზა დილა-საღამოს. თუ დასაწყისში ფეხების ზევით აწევა გაგიჭირდათ, თხოვეთ ამხანაგს დაგეხმაროთ, ან კედელთან ივარჯიშეთ. თუ ფიზიკურად კარგად ხართ მომზადებული, 2-3 თვის ვარჯიშის შემდეგ თავისუფლად შეძლებთ ამ პოზაში 30 წუთით დარჩენას.

პირველი ვარჯიშის დროს შეიძლება თავბრუ დაგეხვეთ, მაგრამ განაგრძეთ ვარჯიში — იგი მალე გაგივლით. პოზის შემდეგ ძალიან სწრაფად ნუ ადგებით, ამან შეიძლება გულის გადატვირთვა გამოიწვიოს. დაწექით გულაღმა, 5 წუთი დაისვენეთ. ამის შემდეგ შეგიძლიათ ერთი ჭიქა რძე დალოთ. ზაფხულის პერიოდში პოზაში ძალიან დიდხანს ნუ დარჩებით, ზამთარში პირიქით, ივარჯიშეთ რამდენსაც შეძლებთ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲕᲐᲠᲘᲐᲜᲢᲘ ᲡᲣᲠ. „Ე“. თავზე დგომის დროს გადაჯვარედინეთ ფეხები და მოხარეთ მუხლები, როგორც სურათზეა, მოძრაობები შეასრულეთ ძალიან ნელა და ყურადღებით. იმას, ვინც დაეუფლა თავზე დგომას გაშლილი ფეხებით, ეს პოზა არ გაუჭირდება.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲕᲐᲠᲘᲐᲜᲢᲘ ᲡᲣᲠ. „Ვ“. ფეხები გაჭიმეთ, გაშალეთ წინ და უკან, არ დაკარგოთ სხეულზე კონტროლი.

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲕᲐᲠᲘᲐᲜᲢᲘ ᲡᲣᲠ. „Ზ“. ფეხები გაშალეთ, ეს პოზა ხელს უწყობს წონასწორობის გამომუშავებას.

ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲕᲐᲠᲘᲐᲜᲢᲘ. ᲡᲣᲠ. „Თ“. ფეხები სხეულთან ქმნის სწორ კუთხეს. სხეულის გადაადგილების დროს სუნთქვა შეაკავეთ მუცლის ღრუში.

ᲔᲤᲔᲥᲢᲘ. თავზე დგომა აძლიერებს ტვინის მუშაობას. ის გრავიტაციული (მიზიდვის) ძალების წინააღმდეგ მოქმედებს, ავითარებს მეხსიერებას, არეგულირებს სუნთქვას. ეს პოზა განსაკუთრებით სასარგებლოა მათთვის, ვისაც დაძაბული გონებრივი მუშაობა უხდება.





სუნთქვის რეგულირება თავისთავად ხდება. თუ თქვენს სუნთქვას დაკვირდებით, დარწმუნდებით, რომ იგი რეგულარული გახდა. ვარჯიშის დაწყებისას მოსალოდნელია სუნთქვის გაძნელება, რომელიც სრულად გაქრება ცოტაოდენი ვარჯიშის შემდეგ.

„თავზე დგომა“ მრავალი დაავადების საწინააღმდეგო საშუალებაა. ის წმინდავს სისხლს, აძლიერებს ნერვების აქტიურობას. დადებითად მოქმედებს თვალის, ცხვირის, ყურის, თავის, კუჭნაწლავის, ღვიძლის, ელენთის, ფილტვების, სასქესო ორგანოთა დაავადებებზე, აუმჯობესებს საქმლის მონელებას. „თავზე დგომა“ სასარგებლოა საშვილოსნოს, საკვერცხეების დაავადების შემთხვევაში.

ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲘᲐᲙᲝᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი.

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. იხ. „ლელო“ 1987 წლის №№ 205, 210, 215, 220, 225, 229, 234, 239, 244, 248; 1988 წლის № 3, 7, 12, 17, 22, 27, 32, 37, 51, 60, 65.

„ᲡᲞᲝᲠᲢᲚᲝᲢᲝ“

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტოს“ მორიგი, მე-15 ტირაჟების შედეგები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: გაიყიდა 1.675.194 ბარათი.

ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (33 ბარათი) მოგება 2197 მანეთია, ოთხისთვის (1953) — 38, სამისთვის (34.848) — 3.

„სპორტლოტო 5 36“-დან: გაიყიდა 17.798.709 ბარათი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (19 ბარათი) მოგება 10 000 მანეთია, ოთხისთვის (5050) — 196, სამისთვის (212.747) — 7.

ᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ ᲓᲐ ᲔᲗᲔᲠᲨᲘ

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ. 17 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ. რიტმული ტანვარჯიში — **9.15 (1);** „სპორტლოტოს“ ტირაჟი — **10.15 (1);** სპორტი და პიროვნება — ალექსანდრე მედვედი —**17.15 (2);** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) — **19.00 (1);** საერთაშორისო ტურნირი მხატვრულ ტანვარჯიშში ჟურნალ „სოვეტსკაია ექრანიჩნას“ პრიზზე — **21.15 (2);** საფეხბურთო მიმოხილვა — **0.05 (1)).**

18. აპრილი. საფეხბურთო მიმოხილვა — **9.35 (1)** და **20.30 (2).**

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ. 17 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ. საფეხბურთო მიმოხილვა — **0.05.**

18 აპრილი. სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დინამო“ (თბილისი) — „არარატი“ (ერევანი) — **19.00.**

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲐᲓᲘᲝ. 17 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ. რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“ — **14.30.**

18 აპრილი. სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დინამო“ (თბილისი) — „არარატი“ (ერევანი) — **20.20.** II ტაიმი.

რედაქტორი
Თ. ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ.

ინდექსი 66435. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ. 29. უე 00220